პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

5 ივლისი ოთხშაბათი, 1961 წ. № 92 (1728)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

## ჭაბუკთა სიმღერა

მუსიკა ლ. იაშვილის,

ტექსტი ა. შანიძისა.

მოვდივართ დიდების ალმებით,
მოვდივართ მზიური მერცხლები.
დავჭექოთ ძლიერად, მთელი ხმით
ზეცას რომ სცვიოდეს ვერცხლები.

ჩვენ გულებს გაფრენა სწადია,
აინთო დიდების ლამპარი.
გახედეთ, ზეცაში ადიან,
დამშვენდა ლამაზი მთა-ბარი.

მისამღერი: დიდება მძლეოსანს
ფეხბურთელს.
დიდება! გოგონებს ლამაზებს,
დიდება! ვინც გრძნობით
გვამღერებს
და მუდამ ალერსით აგვავსებს.





## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 5 ივლისისათვის

I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ მოსკოვი | 12 | 10 | 1 | 1 | 25:10 | 21 |
| „ავანგარდი“ ხარკოვი | 13 | 6 | 5 | 2 | 13:9 | 17 |
| „ლოკომოტივი“ მოსკოვი | 14 | 6 | 5 | 3 | 22:20 | 17 |
| ს კ ა როსტოვი | 13 | 7 | 2 | 4 | 25:13 | 16 |
| „დინამო“ თბილისი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:11 | 15 |
| „ნეფტიანიკი“ ბაქო | 13 | 4 | 6 | 3 | 13:12 | 14 |
| „შახტიორი“ სტალინო | 14 | 4 | 5 | 5 | 13:15 | 13 |
| „ადმირალტეეცი“ ლენინგრადი | 14 | 4 | 2 | 2 | 13:20 | 10 |
| „ტრუდი“ ვორონეჟი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:20 | 10 |
| „დაუგავა“ რიგა | 14 | 2 | 4 | 8 | 15:25 | 8 |
| „სპარტაკი“ ვილნიუსი | 14 | 1 | 5 | 8 | 12:28 | 7 |

* * *

II ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ც ს კ ა | 13 | 9 | 2 | 2 | 38:19 | 20 |
| „დინამო“ კიევი | 13 | 8 | 3 | 2 | 28:11 | 19 |
| „სპარტაკი“ მოსკოვი | 13 | 6 | 4 | 3 | 21:11 | 16 |
| „პახტაკორი“ ტაშკენტი | 13 | 6 | 4 | 3 | 24:26 | 16 |
| „დინამო“ მოსკოვი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:19 | 14 |
| „სპარტაკი“ ერევანი | 14 | 4 | 6 | 4 | 20:23 | 14 |
| „ზენიტი“ ლენინგრადი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:21 | 13 |
| „მოლდოვა“ კიშინიოვი | 14 | 4 | 4 | 6 | 24:24 | 12 |
| „კაირატი“ ალმა-ატა | 13 | 3 | 5 | 5 | 14:21 | 11 |
| „ბელარუსი“ მინსკი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:21 | 9 |
| „კალევი“ ტალინი | 13 | 0 | 4 | 9 | 10:32 | 4 |

* * *

კიშინიოვი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობა-ზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1.1.

* * *

მოსკოვი. დედაქალაქის „ტორპედოს“ ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა ჩაატარა ლენინგრადის „ადმირალტეეცთან“.

თამაში მოიგეს ტორპედოელებმა ანგარიშით 6:3.

## „იმი ზელოვნების შედევრია“

ათი დღის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში სტუმრად იყო იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯულიო ონესტი. დელეგაციაში შედიოდნენ: გენერალური მდივანი მარჩელო გარონი, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი უმბერტო ანელი.

სტუმრები იყვნენ ოდესაში, კიევში, ლენინგრადში, თბილისში. მოსკოვში ისინი დაესწრნენ ცენტრალურ სტადიონზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებას ძმები ზნამენსკების ჯილდოზე, აგრეთვე მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩს ჩვენი ქვეყნისა და ნორვეგიის გუნდებს შორის.

კორესპონდენტებთან საუბარში ჯ. ონესტიმ განაცხადა: დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენი ქვეყნის უდიდესმა პროგრესმა ცხოვრების ყველა დარგში. განსაკუთრებით განსაცვიფრებელია საბჭოთა სპორტის წარმატება.

დიდად კმაყოფილი ვართ, რომ დავათვალიერეთ უდიდესი სპორტული ნაგებობანი. თბილისის სპორტის სასახლე ხელოვნების ნამდვილი შედევრია. იგი ჰარმონიულად ერთვის ქალაქის არქიტექტურულ ანსამბლს. კიევში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ნიჩბოსნობის სპორტის ინვენტარმა. ჩვენი აზრით დნეპრზე შეიძლება მოეწყოს ევროპის პირველობა ნიჩბოსნობაში.

შეუძლებელია ყველაფერზე დაწვრილებით ვილაპარაკოთ, მაგრამ ერთი კი უნდა განვაცხადო: როგორც უკანასკნელი ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები, ჩვენ, იტალიელები, ვთვლით, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი უდიდესი სპორტული მიღწევებით უფლება მოიპოვა იყოს ერთ-ერთი მომავალი ოლიმპიადის ორგანიზატორი. პირობას გაძლევთ, რომ სამშობლოში დაბრუნებისას საბჭოთა ქვეყნის სპორტში წარმატებების, თქვენი შესანიშნავი სტუმართმოყვარეობის შესახებ მოვუთხრობთ იტალიელ ხალხს.

## პირველი გამარჯვება

3 ივლისს მინსკში დაიწყო „ა“ კლასის ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი IX-XVI ადგილის გამოსარკვევად.

კარგი სტარტი აიღეს თბილისის „ბურევესტნიკის“ (უნივერსიტეტის) ფრენბურთელებმა, რომლებმაც მშრალი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ტალინის „კალევის“ წარმომადგენლები.

დანარჩენ შეხვედრებში ცსკა-მ დაამარცხა კრასნოდარის „დინამო“ — 3:2, კიევის „ბურევესტნიკმა“ მინსკის „სპარტაკი“—3:0 და ბაქოს „მეხსულმა“—ირკუტსკის „სპარტაკი“ — 3:2.

## IX-XVI ადგილებისათვის

სვერდლოვსკში გრძელდება IX-XVI ადგილებისათვის მებრძოლ კალათბურთელთა გუნდების ტურნირი. შეჯიბრების მეორე დღის ერთ-ერთ ცენტრალურ შეხვედრას წარმოადგენდა ადგილობრივი „ტრუდისა“ და კიევის არმიელთა გუნდის მატჩი. თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს კიეველებმა — — 30:19. შესვენების შემდეგ მასპინძლები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და შეხვედრაც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს—60:55. რიგის ვეფ-მა დაამარცხა ვილნიუსის „სპარტაკი“ — 76:73.

კარგად ითამაშეს თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელებმა ალმა-ატის თანაკლუბელების წინააღმდეგ. თამაშის პირველი ნახევარი ქართველმა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 49:22, მეორე ტაიმში კვლავ მათი უპირატესობით მიმდინარეობდა და მატჩი დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 85:67.

## ამერიკელი ძალოსნები

1955 წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის შტანგისტთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება. ამით საფუძველი ჩაეყარა ამ გუნდების ტრადიციულ შეხვედრებს, რომელიც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ გაიმართება. მომდევნო მატჩში 1958 წელს ამერიკას ესტუმრნენ საბჭოთა ძალოსნები. ჩიკაგოში, დეტროიტსა და ნიუ-იორკში გამართეს შეხვედრები და ყველგან გაიმარჯვეს.

მას შემდეგ გავიდა სამი წელი და დადგა მორიგი მატჩის ჩატარების დრო. განრიგის მიხედვით ამერიკელები უნდა ჩამოსულიყვნენ ჩვენთან. და აი, გუშინ ისინი ეწვივნენ კიდევაც მოსკოვს. ამერიკელები პირველ შეხვედრას გამართავენ ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან. აშშ-ს გუნდის შემადგენლობაში არიან ფიცარნაგის სახელგანთქმული ოსტატები ვინჩი, ბერგერი, კონო და სხვები. საბჭოთა გუნდის ინტერესებს დაიცავენ სტოგოვი, მინაევი, ბოგდანოვსკი, ვლასოვი და სხვანი.

მოსკოვში გამოსვლის შემდეგ ამერიკელები 11 ივლისს ეწვევიან ლენინგრადს, 15 ივლისს — კიევს და ბოლოს 18 ივლისს — ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს. თბილისში შედგება ამერიკა-საბჭოთა კავშირის ძალოსანთა დასკვნითი გამოსვლა.

## საბჭოთა კავშირში

# შრომა დაუფასდათ

1960 წელი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ფიზკულტურული ორგანიზაციებისათვის. წლის განმავლობაში მომზადდა სპორტის 19 ოსტატი, 228 პირველთანრიგოსანი, 1086 მეორეთანრიგოსანი, 4.292 მესამეთანრიგოსანი, 4.650 საზოგადოებრივი მუშაკი. ეს ციფრები მეტყველებენ სოფლად მასობრივ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაზე.

ამ დიდი მუშაობის მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მიერ „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოებისა და ფიზკულტურული კოლექტივების 1960 წლის დათვალიერება-კონკურსი.

კონკურს-დათვალიერების დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებათა შესასრულებლად გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ უზრუნველყო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების ძირითადი მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულება. კონკურსში 1960 წლის მაჩვენებლების მიხედვით გამარჯვებულნი გამოვიდნენ „კოლმეურნის“ მახარაძის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე კ. გოგატაძე), სამტრედიის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე ჯ. ვაშაკიძე) და ზუგდიდის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე შ. ჩანგელია).

კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ ლანჩხუთის, სამგორისა და აბაშის „კოლმეურნის“ რაისაბჭოებსაც.

ვერ უზრუნველყვეს დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება: ცაგერის (თავმჯდომარე ჯ. შკუბულიანი), გორის (თავმჯდომარე გ. სომხიშვილი), თეთრი წყაროს (თავმჯდომარე ვ. ვანიევი), ცხაკაიას (თავმჯდომარე დ. გაბედავა), თერჯოლის (თავმჯდომარე კ. უკლება), მაიაკოვსკის (თავმჯდომარე ა. ყორყოლიანი), ჩხოროწყუს (თავმჯდომარე ბ. პაპასკირი) რაიონულმა საბჭოებმა და ფოთის „კოლმეურნის“ საქალაქო საბჭომ (თავმჯდომარე დ. ულენტი).

კონკურსს - დათვალიერების მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გამოიჩინეს აფხაზეთის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა. მასში მონაწილეობა არ მიუღიათ აგრეთვე კარგი სპორტული ტრადიციების მქონე ბობოყვათისა და დაგვის (ქობულეთის რაიონი) ფიზკულტურულ კოლექტივებს, ცხაკაიას, წალენჯიხის, ბათუმის რაიონის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, გურჯაანის რაიონის ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურულ კოლექტივს, სამგორის რაიონის მექანიზაციის, წულუკიძის რაიონის მექანიზაციის, ზესტაფონის რაიონის მექანიზაციის ტექნიკუმებსა და სხვა ფიზკულტურულ კოლექტივებს.

კონკურს-დათვალიერების დებულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და „კოლმეურნის“ ცენტრალურმა საბჭომ სიგელებითა და გარდამავალი დროშით დააჯილდოვა „კოლმეურნის“ მახარაძის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე კ. გოგატაძე), რომელიც პირველ ადგილზე გამოვიდა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სიგელებითა და სამახსოვრო ალმით დაჯილდოვდა მეორე ადგილზე გამოსული „კოლმეურნის“ სამტრედიის რაიონული საბჭო (თავმჯდომარე ჯ. ვაშაკიძე).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სიგელებით, სამახსოვრო ალმებითა და 200 მანეთის სპორტული ინვენტარით დაჯილდოვდნენ კონკურს - დათვალიერებაში პირველ ადგილზე გამოსული მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი, ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი და სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივი.

კონკურს - დათვალიერებაში მეორე ადგილზე გამოსული სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის ზოოვეტტექნიკუმის ფიზკულტურული კოლექტივები დაჯილდოვდნენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სიგელებით, სამახსოვრო ალმებითა და 150 მანეთის სპორტული ინვენტარით.

მესამე ადგილზე გამოსული ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის კოლმეურნეობის, გაგრის რაიონის სოფელ ბიჭვინთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის, სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანის ზოოვეტტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივები დაჯილდოვდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სიგელებით, სამახსოვრო ალმებითა და 100 მანეთის სპორტული ინვენტარით.

ნაყოფიერი მუშაობისა და ფიზკულტურული ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ მოწინავე რაისაბჭოების თავმჯდომარეები კ. გოგატაძე (მახარაძე), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია) და შ. ჩანგელია (ზუგდიდი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოლექტივში ეყრება საფუძველი ყველა სპორტულ მიღწევას, კოლექტივი ჩვენი დასაყრდენი, ჩვენი მუშაობის ძირითადი უბანია!

### მეტი ყურადღება

საწარმოო ტანვარჯიშს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მთელ რიგ საამქროებში სათანადო ყურადღება ექცევა. მაგრამ, სამწუხაროდ, საწარმოში არის რამდენიმე საამქრო, სადაც არ ატარებენ ამ მეტად სასარგებლო ღონისძიებას. საწარმოო ტანვარჯიშის გარეშე არიან დარჩენილნი პირველი და მესამე საამქროები, აგრეთვე ცენტრალური ლაბორატორია. აქ კი დიდძალი მუშა-მოსამსახურე მუშაობს.

ქარხანაში სათანადო ყურადღება არ ექცევა კვირა დღის ტურიზმს, რომელიც დიდ წვლილს შეიტანდა მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში.

ხ. ტალახაძე

### კლუბი დაკეტილია

გორელი მოჭადრაკეები და ჭადრაკის მოყვარულნი გასულ წელს ძალზე გაახარა ქალაქში საჭადრაკო კლუბის გახსნამ, მაგრამ აქ მუშაობა დღემდე ვერ აეწყო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხუთი დაგეგმილი შეჯიბრების ჩატარებას, კლუბს არაფერი გაუკეთებია — იგი დაკეტილია, რის გამო გორელი მოჭადრაკეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

საჭადრაკო კლუბის უმოქმედობის შესახებ დაიწერა გორის საქალაქო გაზეთსა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის იუმორისტულ კედლის გაზეთ „ანკესში“, მაგრამ მდგომარეობა უცვლელია.

ი. თევდორაშვილი





ქუთაისის ელექტრო-მექანიკურ ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობენ სპორტის სხვადასხვა სახეობათა სექციები. სურათზე მარცხნივ თქვენ ხედავთ მოჭადრაკეთა სექციას, ხოლო მეორე სურათზე — მაგიდის ჩოგბურთელთა ვარჯიშის მომენტს.

ფოტო ი. იუნაევისა.

## ქალაქებსა და რაიონებში

### ჩოხატაური

ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონული პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში მოსწავლეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 6 საშუალო სკოლის 35-ზე მეტმა სპორტსმენმა.

შეჯიბრებაზე როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს პირველი სკოლის მოსწავლეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ერკეთის სკოლის მოსწავლეები. პირად პირველობაზე ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ლ. სიხარულიძე, ხოლო ვაჟებიდან — გ. კუჭავა (ორივე პირველი საშუალო სკოლიდან).

შეჯიბრებაზე კარგი შედეგები აჩვენეს აგრეთვე: ნ. სახელაშვილმა, მ. ჩხიკვაძემ (პირველი სკოლა), ც. რონინიშვილმა (ერკეთი), ე. ბოლქვაძემ (მეორე სკოლა) და სხვ.

დ. გურგენიძე



მახუნცეთის (ქედის რაიონი) სკოლა-ინტერნატის კალათბურთელ გოგონათა გუნდმა რაიონულ სპარტაკიადაზე პირველი, ხოლო აჭარის მოსწავლეთა პირველობაზე — მეორე ადგილი მოიპოვა.

სურათზე: მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის კალათბურთელთა გუნდი.

### საგარეჯო

ამ დღეებში საგარეჯოელი სპორტის მოყვარულნი საინტერესო ასპარეზობის მოწმენი გახდნენ. რაიონის სპორტულ დარბაზში გაიმართა ქალაქ თბილისის სპორტსაზოგადოება „განთიადისა“ და საგარეჯოს რაიონის მოჭიდავეთა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

გუნდური შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით.

ი. ძაბილაშვილი

### ქედა

ქედაში მოეწყო მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა სპორტის 6 სახეობაში, კალათბურთსა და ფრენბურთში. ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა მახუნცეთის სკოლა-ინტერნატის გუნდი, ფეხბურთში პირველ ადგილზე გამოვიდა ქედის საშუალო სკოლის კოლექტივი, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში წინ იყვნენ ცხმორისის, ხარაულას, გოგიაშვილების და მერისის სკოლები.

შ. კილურაძე

### თერჯოლა

თერჯოლაში დამთავრდა შეჯიბრება ფრენბურთელთა შორის, სადაც მონაწილეობდა 28 კოლექტივი, გამარჯვება მოიპოვა იატაკისა და ფილების ქარხნის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩხარის საშუალო სკოლის, ხოლო მესამეზე — ღვანკითის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენები.

ლ. ჯიშიაშვილი

### ქობულეთი

დამთავრდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობის V ზონის პირველობა ფეხბურთში.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს ქობულეთელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც მოიგეს ყველა შეხვედრა.

ლ. ტრაპაიძე

# მერვედფინალში

გადამწყვეტ ფაზაში შედის უიმბლდონის ტურნირის მონაწილე ჩოგბურთელთა ასპარეზობა. სულ უფრო და უფრო მცირდება ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვი. ეს გასაგებიცაა. ტურნირის მონაწილე სპორტსმენი პირველი დამარცხებისთანავე კარგავს შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობის უფლებას.

ვაჟთა წყვილებში წარმატებით გამოდიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები თ. ლეიუსი და ს. ლიხაჩოვი. მეთექვსმეტედფინალში გაბედული თამაშით მათ შეძლეს დასავლეთ გერმანიის გამოცდილი ჩოგბურთელების ბუნგერტ-კუნკეს დამარცხება — (9:7, 6:4, 11:9).

მერვედფინალში საბჭოთა ჩოგბურთელებს მოუწევთ ბრძოლა ინგლისის ძლიერი წყვილის — მილსისა და ვილსონის წინააღმდეგ. საკმარისია ითქვას, რომ ამ შეჯიბრებაზე ვილსონმა დაამარცხა უიმბლდონის ტურნირის 1959 წლისა და 1960 წლის ჩემპიონი — ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ფრეზერი — 3:1 (1:6, 6:0, 13:11, 9:7).

ბაქოელი ს. ლიხაჩოვი წარმატებით გამოდის შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში. მან მოსკოველ ა. დმიტრიევასთან ერთად დაამარცხა უორდ-დელოფერის წყვილი (ინგლისი).





სურათებზე: ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის პიონერთა ბანაკში ამ დღეებში ჩატარდა შიდასაბანაკო სპარტაკიადა. ზემოთ — ნორჩი სპორტსმენები სტარტზე. მარჯვნივ — პიონერთა ბანაკის შესასვლელი.

ფოტოები გ. თარალაშვილისა.





საქართველოს პირველობა ველორბოლაში (ტრეკი).

* * *

სურათებზე: ადგილიდან 1-კილომეტრიან რბოლაში გამარჯვებულების დაჯილდოება. მარცხნიდან — შაინოვი, ზანდუკელი და გნოლიძე. მარჯვნივ — სალიდერო რბოლა.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

# ავაღორძინოთ მდიდარი ტრადიციები

ამ რამდენიმე დღის წინათ, თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა ველორბოლაში (ტრეკზე), რომელმაც უკვე მერამდენეჯერ, დაგვანახვა სპორტის ამ სახეობის საგანგაშო ჩამორჩენა საქართველოში. რა არის იმის მიზეზი, რომ წლიდან წლამდე უარესდება ჩვენს რესპუბლიკაში ველორბოლის მდგომარეობა და იგი რკინის კანონზომიერებით არ სცილდება რეგრესის გზას? მიზეზი ბევრია და ჩვენც შევეცდებით სათითაოდ ჩამოვთვალოთ ისინი.

იყო დრო, როდესაც საბჭოთა კავშირის უძლიერესი ველოსიპედისტები—სპრინტერები 200-მეტრიან მონაკვეთს გადიოდნენ 12,2 — 12,5 წამში. ამ სისწრაფეს მაშინ ჩვენი საუკეთესო ველოსიპედისტებიც ფლობდნენ და მისი ჩვენება თბილისის ველოტრეკზეც შეიძლება. დღეს კი სპრინტერები როგორც წესი, ზემოაღნიშნულ მონაკვეთს გადიან 11,5 — 11,8 წამში, ხოლო საერთაშორისო კლასის სპორტსმენები 11,0 — 11,4 წამში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ველოტრეკზე ასეთი მაღალი კვალიფიკაციის ველოსიპედისტები ვერ აღიზრდებიან. ეს იმასაც ნიშნავს, რომ როგორი ინტენსიურიც არ უნდა იყოს წვრთნა თბილისის ველოტრეკზე — სპორტსმენი ვერასოდეს ვერ მიაღწევს ასეთ სისწრაფეს.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ ისე, თითქოს ყველაფრის მიზეზი ტრეკის უვარგისობაა. ველორბოლაში ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი ბრალდება მწვრთნელებს ედებათ, რომლებიც უკვე კარგახანია შეეჩვიენ ნაკლები წინააღმდეგობის გზით „სვლას". არ ვარგა ტრეკი! არავის აინტერესებს იგი! — ფიქრობენ მწვრთნელები, ესე იგი, ჩვენც უნდა ვიბრუნოთ ზურგი მისგან. სხვაგვარად ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის წამყვანმა მწვრთნელებმა, წარსულში პოპულარულმა სპორტსმენებმა ა. ხაბურზანიამ, ო. დადუნაშვილმა, ვ. ჯონჯოლიანმა, ა. გუნიამ და სხვებმა, ვერ აღზარდეს ტრეკზე მრბოლელთა ღირსეული ცვლა.

სპორტის ოსტატმა ო. დადუნაშვილმა უკანასკნელ წლებში 2-3 ველოსიპედისტი მოამზადა მხოლოდ. ეს იმ დროს, როდესაც იგი წვრთნის „შრომითი რეზერვების", სპორტსკოლისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდებს. ახალგაზრდობის სპორტსკოლაში მხოლოდ 4 სატრეკო ჯგუფია. თუ მხედველობაში მივიღებთ მათში გაერთიანებულ სპორტსმენთა ნამდვილ რაოდენობას (და არა იმას, რაც აღნიშნულია ქაღალდზე) ვნახავთ, რომ არც კონტინგენტის საერთო რაოდენობაა საკმარისი და არც ჯგუფების რიცხვი.

უკეთესი მდგომარეობა არც სპორტსაზოგადოებებშია. ისინი ოდნავადაც არ ზრუნავენ ტრეკზე ველორბოლის განვითარებაზე. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ „კოლმეურნე", ამ სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელობას უყვარს ველოსპორტი და სხვებზე უკეთესი მაჩვენებლებიც აქვს საგზატკეცილო ველოსპორტში. ეს უკვე დიდი საქმეა. „კოლმეურნეს" ჰყავს ძლიერი სატრეკო ველოსიპედისტებიც, მაგრამ მათი რიცხვი შედარებით მცირეა. თუმცა აღნიშნულ საზოგადოებას დიდ პრეტენზიებს ვერ წავუყენებთ: რაიონებში ტრეკი არ არის, ხოლო თბილისში — სოფლის ახალგაზრდობა.

ყველაზე კარგი შესაძლებლობანი ამ სახეობის განვითარებისათვის აქვს „ბურევესტნიკს". აქ თავმოყრილია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა უმაღლესი სასწავლებელი. აი სად შეიძლება კადრების მომზადებაზე ფიქრი. საქართველოს „ბურევესტნიკი" სპორტის მთელ რიგ სახეობებში წამყვანი სპორტსაზოგადოებაა საბჭოთა კავშირში და მხოლოდ ველოსპორტში აქვს მას არადამაკმაყოფილებელი, მისთვის შეუფერებელი მდგომარეობა. ერთად-ერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ანვითარებს ველორბოლას, ეს პოლიტექნიკური ინსტიტუტია. თბილისში კი არის ბევრი უმაღლესი სასწავლებელი და უამრავი ახალგაზრდობა.

ველორბოლის განვითარების კარგი შესაძლებლობანი აქვთ „სპარტაკს", „განთიადს", „დინამოს", მაგრამ შესაძლებლობანი სხვაა და საქმე კიდევ სხვა. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი" უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არც ტრეკზე ჩანს და არც გზატკეცილზე. „შრომით რეზერვებს" არ ჰყავს საგზატკეცილო მრბოლელები. იგი თითქოს მეტ აქცენტს ტრეკზე აკეთებს, მაგრამ სად არიან აქაური სპორტსმენები? ნუთუ მხოლოდ ე. შაინოვით, ზ. ვაშაკიძით და ჯ. ასკურავათი ამოიწურება საზოგადოების საქმიანობა უკანასკნელი 3 წლის მანძილზე?

საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის შემდეგ 5 წელი გავიდა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი ხარისხობრივად არ გაზრდილა. მხოლოდ ახლახან გამოჩნდა ორი ნიჭიერი სპორტსმენი — 18 წლის ვ. შახპარონიანი და 19 წლის ბათუმელი ო. ნიშნიანიძე, მაგრამ ეს განა საკმარისია? ამასთან ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ როგორც შახპარონიანის, ისე ნიშნიანიძის ოსტატობას გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ ემუქრება ერთ წერტილზე გაყინვის საშიშროება. რატომ? ისევ და ისევ თბილისის ველოტრეკის მიზეზით. ხომ მოუვიდა რამდენიმე წლის წინათ ასე ნიჭიერ ველოსიპედისტს გ. ზანდუკელს, რომელსაც ყველა შანსი ჰქონდა გამხდარიყო საბჭოთა კავშირში წამყვანი ველოსიპედისტი?

ასე რომ, როდესაც ჩვენ ახალი ველოტრეკის აუცილებლობაზე ვლაპარაკობთ, ეს უბრალო კაპრიზი და სიჯიუტე როდია. შეიძლება ერთი მეტად დამახასიათებელი მაგალითის მოყვანა, რომელიც ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ჩვენს ველოტრეკზე და მის შესაძლებლობაზე. ნიჭიერი სტაიერი ო. პროკოპენკო თბილისის ტრეკზე 25 კილომეტრზე სალიდერო რბოლაში სისტემატურად აჩვენებს საათში 59 კილომეტრ საშუალო სისწრაფეს. არც მეტსა და არც ნაკლებს. მაგრამ აი, მან სულ ცოტა ხნის წინ მონაწილეობა მიიღო მეორე ჯგუფის გუნდების შეჯიბრებაში ნოგინსკის ტრეკზე. პროკოპენკომ თავისი რესპუბლიკური რეკორდი ერთბაშად 5 წუთით (!) გააუმჯობესა. მას სულ ცოტა დააკლდა საკავშირო რეკორდამდე. ამასთან პროკოპენკოს საშუალო სიჩქარე საათში ნოგინსკის ტრეკზე იყო 68 კილომეტრი.

ამიტომაა, რომ ველოსიპედისტები უგულოდ მოდიან ჩვენს ტრეკზე. დაცემა და ტრავმის მიღება ადვილია, ზრდის პერსპექტივები ძალზე მცირე. 1959 წ. გეგმის მიხედვით ტრეკზე უნდა მომზადებულიყო პირველთანრიგოსანთა ისეთი რაოდენობა, რომელიც აღემატება ტრეკზე საერთოდ მომეცადინეთა რიცხვს. ამ გეგმის მიხედვით 1961 წელს თბილისში უნდა მეცადინეობდეს 2000 ველოსიპედისტი. სინამდვილეში კი ჩვენს ტრეკს იდეალურ შემთხვევაშიც კი არ შეუძლია 150 სპორტსმენზე მეტს მოემსახუროს. 2000 კაცი საბჭოთა კავშირის ყველა 18 ტრეკზე მომეცადინეთა დაახლოებითი რაოდენობაა.

ეს რაც შეეხება თბილისს. როგორი მდგომარეობაა ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებში და ქალაქებში? ტრეკი თბილისის გარდა არ არის არსად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება თითო ოროლა სპორტსმენის მომზადება აქ. ხომ გამოჩნდა ნიშნიანიძე ბათუმში? რატომ არ შეიძლება ასეთი ერთეულების გამოძებნა სოხუმში, ქუთაისში, თუ სამისო სურვილიც იქნება და მონდომებაც?

მაგრამ საქმე სწორედ მონდომებაშია. ტრეკი უკვე დიდი ხანია ჩვენს სპორტში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. მასზე არავინ ზრუნავს, არავინ ფიქრობს და აქედან გამომდინარე მოთხოვნელობაც ნაკლებია მის მიმართ. ტრეკი ჩვენ გვახსენდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე დიდი შეჯიბრება გველის წინ, იწყება ფუსფუსი, კანდიდატების ძებნა, ნაკრების ნაუცბათევი დაკომპლექტება. ასეთ დროს ყველასათვის წინასწარაა ნათელი, რომ „ექსპრომტული გუნდი" წარმატებას ვერ მიაღწევს. და მართლაც, ვიღებთ სამარცხვინო ადგილს, ერთხანს ვბრაზდებით, შემდეგ ვიქნევთ ხელს უიმედოდ და... წერტილი. ტრეკზე საქმიანობა წყდება დიდი ხნით.

მაგრამ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს ველოტრეკზე სჩქეფდა საქმიანი ცხოვრება. იგი სულ მუდამ სავსე იყო მომეცადინეებით, შეჯიბრებების დღეებში კი მისი არც თუ ისე ტევადი ტრიბუნები ხალხით ივსებოდა. ველოსპორტის მოყვარულები ინტერესით ადევნებდნენ თვალს ო. დადუნაშვილისა და ვ. ჯონჯოლიანის ფინალურ ბრძოლებს, ვ. ძებნიაურის სარეკორდო რბოლას და ასე შემდეგ.

არა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ველორბოლა თბილისელებს არ უყვარდეთ. უჩვენეთ მათ ნამდვილი სპორტული ბრძოლა, მაღალი ოსტატობა და ნახავთ როგორ დაგიმადლებენ. ვცადოთ, ავაღორძინოთ ქართული ველოტრეკის მდიდარი ტრადიციები და ვნახოთ რა ადგილს დაიკავებს ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო ველორბოლის დიდ სარბიელზე. ეს განსაკუთრებით გვჭირდება ახლა, როდესაც ტრეკზე რბოლა შეტანილია საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამაში.

ლელო



ეროვნული ბიბლიოთეკა



მომენტი განვლილი შესარჩევი მატჩიდან მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის.

სურათზე: საბჭოთა გუნდის მარცხენა გარემარბი მ. მესხი გადის გარღვევაზე ნორვეგიელ მცველთან ბრძოლაში.

თბილისის ი. ნიკოლაძის სახ. სამხატვრო პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტებმა თ. ჩირინაშვილმა და გ. ფინკომ რედაქციაში გამოგზავნეს წერილი შემდეგი შეკითხვებით:

1. როგორი შემადგენლობით თამაშობდა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი მელბურნის ოლიმპიური თამაშების ფინალში და ვინ გაიტანა ერთადერთი ბურთი იუგოსლაველთა კარში?

2. რომელი რგოლია ყველაზე ძლიერი თურქეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში და ვინაა ყველაზე უფრო საშიში თავდასხმაში?

3. სადაა ამჟამად თბილისის „დინამოს“ ყოფილი წევრი ი. კურტანიძე?

1. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა მელბურნის ოლიმპიადის ფინალში ითამაშა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი, კუზნეცოვი, ბაშაშკინი, ოგონკოვი, მასლიონკინი, ნეტო, ტატუშინი, ისაევი, სიმონიანი, სალნიკოვი, ილინი. გოლი იუგოსლაველთა კარში გაიტანა ა. ილინმა.

2. თურქეთის ნაკრებში ყველაზე უფრო ძლიერ რგოლად მიმომხილველები მიიჩნევენ დაცვას. თავდასხმაში ყველაზე უფრო ძლიერია ცენტრფორვარდი მეტინი.

3. თბილისის „დინამოს“ ყოფილი წევრი ი. კურტანიძე ამჟამად თამაშობს სოხუმის „რიწაში“.

★

1. რა არის საფეხბურთო ტოტალიზატორი?

2. რომელი საკლუბო გუნდი ითვლება ფეხბურთში მსოფლიოში უძლიერესად?

1. ტოტალიზატორი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ფულზე თამაშს საცხენოსნო შეჯიბრებაზე. იგივეა საფეხბურთო ტოტალიზატორიც. მოთამაშემ წინასწარ უნდა გამოიცნოს შეხვედრათა შედეგები და იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მისი პროგნოზი, ღებულობს ჯილდოს. ტოტალიზატორში მონაწილეობისათვის, რა თქმა უნდა, საჭიროა ფულის შეტანა სალაროში.

2. საკლუბო გუნდებისათვის მსოფლიო კლასიფიკაცია არ არსებობს. საერთოდ კი, საერთაშორისო აღიარება აქვთ „სანტოსს“, „ბოტაფოგოს“ (ბრაზილია), „რეალს“ (ესპანეთი), „ინტერნაციონალეს“ (იტალია), „პალმეირასს“ (ურუგვაი), „ბოკა ხუნიორესს“, „ინდეპენდენტეს“ (არგენტინა), „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ (ინგლისი), სულ ახლახან მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი „ბენფიკამ“ (პორტუგალია) და ა. შ.

★

საინტერესოა როგორი წესით მტკიცდება მსოფლიო რეკორდი მძლეოსნობაში? — გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი ა. ნოზაძე ხაშურიდან.

არსებული წესის თანახმად ამათუიმ შეჯიბრებებზე ნაჩვენები შედეგი მსოფლიო რეკორდად მტკიცდება იმ სპეციალური ანკეტის საფუძველზე, რომელსაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას წარუდგენს ის ქვეყანა, სადაც ნაჩვენები იქნება სარეკორდო შედეგი (მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ, რომელი ქვეყნის სპორტსმენს ეკუთვნის იგი). ანკეტაში ნაჩვენები უნდა იყოს მონაცემები შეჯიბრების ჩატარების ადგილის, ამინდის, ქარის ძალისა და მიმართულების შესახებ.

★

ფეხბურთის მოყვარული თ. ალექსიშვილი გვეკითხება: თამაშის დროს რომ ბურთი მოხვდეს მსაჯს და გავიდეს კარში, ჩაითვლება თუ არა გოლი?

ამგვარად კარში გატანილი ბურთი ითვლება გოლად.

## რკინიგზის სკოლების პირველობა

დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა თბილისის, ქუთაისის, ხაშურის, ფოთისა და სამტრედიის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები.

პირად ჩათვლაში გოგონათა შორის I თანრიგში პირველი ადგილი დაიკავა დ. ჭკადუამ (სამტრედია), ჭაბუკებში — გ. ჩანთლაძემ (თბილისი). მეორეთანრიგოსანთა შორის ჩემპიონი გახდა რ. გარნოვსკი (სამტრედია), ხოლო გოგონებში ი. ხუხუა (ფოთი), პირველთანრიგოსან ჭაბუკთა შორის ტ. ხმალაძემ (თბილისი) დაიკავა პირველი ადგილი, გოგონებში — გ. მირონოვამ (ქუთაისი).

საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლის გუნდმა, მეორე — თბილისის მე-7 საშუალო სკოლამ და მესამე — ქუთაისის 21-ე საშუალო სკოლის ტანმოვარჯიშეებმა.

ი. ჩაგეიშვილი

რედაქტორი ი. უგულავა.

## 8-11 ივლისი

პროფკავშირების სპარტაკიადა



თბილისის სპორტულ ბაზებზე

პროგრამაშია: კალათბურთი, კრივი, თავისუფალი, კლასიკური და ქართული ჭიდაობა, ველორბოლა, ფრენბურთი, ტანვარჯიში, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, ძალოსნობა, ფარიკაობა.

შეჯიბრების დასაწყისი დილით 11, საღამოს 19 საათზე.

სპარტაკიადის საზეიმო გახსნა მოეწყობა 8 ივლისს 17,30 საათზე „ბურევესტნიკის“ სტადიონზე.

## საქალაქო სპარტაკიადის შედეგები

სროლასა და ტანვარჯიშში შეჯიბრების დამთავრებით შეჯამდა პროფკავშირთა თბილისის III საქალაქო სპარტაკიადა. ტანვარჯიშში მხოლოდ პირველი ჯგუფის კოლექტივებს ევალებოდათ სპორტსმენთა გამოყვანა, მაგრამ, როგორც სინამდვილემ ცხადყო, ეს სახეობა ჯერ კიდევ არაა დანერგილი დედაქალაქის მთელ რიგ მძლავრ საწარმოო კოლექტივებში, რის გამო ბრძოლაში ჩაება მხოლოდ „გამარჯვების“, „ისანისა“ და ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გუნდები, აგრეთვე კონკურსგარეშე გამოსული მე-6 სამკერვალო ფაბრიკა.

26 სპორტსმენიდან 8-მ შეძლო თანრიგის ჩვენება, მათ შორის ორმა ოსტატის და 6-მა პირველთანრიგისა; ერთადერთი, რაც მისასალმებელია, ეს იყო ბ. აბრამიშვილის („ისანი“) მიერ 109,75 ქულის მოგროვება და ოსტატობის მოპოვება. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტსმენებმა.

არასასიამოვნო ფაქტებს ჰქონდა ადგილი ტყვიით სროლაში. 104 წარდგენილი განაცხადიდან შეჯიბრებაზე გამოცხადდა 76 გუნდი და მათი უმრავლესობა ძალზე სუსტად იყო მომზადებული, რის გამო მხოლოდ 26 სპორტსმენმა (300-ზე მეტი მონაწილიდან) შეასრულა სათანრიგო ნორმა, მაშინ, როცა ვარჯიში — სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანიდან არც თუ ისე ძნელი იყო. პირველ ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა „გამარჯვების“ კოლექტივი — 1.156 ქ. რომელმაც 53 ქულით აჯობა „ისანს“. რაც შეეხება მესამე პრიზიორს — ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს, მასზე უკეთესი შედეგი აჩვენეს მეორე ჯგუფის სამივე პრიზიორმა — ავტომატიკის საშუალებათა სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, ქარხანა „ელექტროავტომატმა“ და № 6 სამკერვალო ფაბრიკამ. მესამე ჯგუფში გაიმარჯვა „გიპროსვიაზმა“.

მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა 20 დღიანი ბრძოლის შედეგები. პირველ ჯგუფში ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა „ისნის“ კოლექტივი, რომელსაც მხოლოდ კალათბურთში არ მოუპოვებია საპრიზო ადგილი, საერთო მეორე ადგილზე გამოვიდა „გამარჯვების“, მესამეზე— ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ნაკრები. მეორე ჯგუფში უძლიერესი იყვნენ „ელექტროავტომატისა“ და აბრეშუმის ფაბრიკის გუნდები.

პროფკავშირთა საზაფხულო რესპუბლიკური სპარტაკიადის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა, დედაქალაქის გუნდებს კი ბევრი აქვთ გასაკეთებელი, რათა წარმატებით გამოვიდნენ ამ ღონისძიებაში და აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის და სხვა გუნდებთან ბრძოლაში შეძლონ საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლების მოპოვება.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლასთან 1961 წ. 1 სექტემბრიდან გაიხსნება მწვრთნელთა ორწლიანი სკოლა წარმოებიდან მოუწყვეტლად. ის ხელფასიანი მწვრთნელები, რომლებსაც არა აქვთ სპეციალური ფიზკულტურული განათლება, ვალდებული არიან დაამთავრონ აღნიშნული სკოლის მთლიანი კურსი, მწვრთნელთა სკოლა აწარმოებს აგრეთვე იმ პირების მიღებას, რომლებსაც სურთ მიიღონ სპეციალური საშუალო განათლება სპორტის ცალკეულ სახეობაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა სკოლის დირექციაში 1 ივლისიდან 25 აგვისტომდე, 9 საათიდან 15 საათამდე.

### პროტესტის ნიშნად

ტეხასის შტატში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრზე მონაწილეობის მიწვევა გაეგზავნათ ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერეს სპორტსმენებს. შეჯიბრებაში მონაწილეობა არ ისურვეს მსოფლიო რეკორდსმენმა რალფ ბოსტონმა (სიგრძეზე ხტომა), ჯონ თომასმა და სხვა ზანგმა სპორტსმენებმა. ამის მიზეზია ის, რომ იმ სტადიონზე, სადაც შეჯიბრება უნდა ჩატარდეს, თეთრკანიანთა ადგილები გამოყოფილია ზანგთა ადგილებისაგან.

## კალათბურთი



სსრ კავშირის პირველობა

**6 ივლისი**

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი)
დასაწყისი 20 საათზე.

**8 ივლისი**

„დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)
დასაწყისი 21 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით. შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05589